



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო რ ე გ ე ტ ი ლ ე ბ ა 18/27

2018 წლის 9 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2018 წლის 9 მარტის საჯარო სხდომაზე განიხილა ლამარა დარახველიძის სს „თელასის“ მიმართ (№2278/01; 26.02.2018), შპს „დრიმლენდ ოაზისი“ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (N2237/01; 22.02.2018), აზნაზაშვილი „დ. თავხელიძე 1“-ის თავმჯდომარის ირაკლი მენტეშაშვილის სს „თელასის“ მიმართ (№2142/01; 23.02.2018) და შპს „სანუგის“ სს „თელასის“ მიმართ (2545/01; 01.03.2018) არსებულ დავებზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის გაგრძელების (განსაზღვრის) საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მისაღებად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავდროულად მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვეტა:


1. სს „თელასის“ მიმართ ლამარა დარახველიძის განცხადებასთან (№2278/01; 26.02.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 25 მაისი.
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ შპს „დრიმლენდ ოაზისის“ განცხადებასთან (N2237/01; 22.02.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 21 მაისი.
3. სს „თელასის“ მიმართ ამხანაგობა „დ. თავხელიძე 1“-ის თავმჯდომარის ირაკლი მენტეშაშვილის განცხადებასთან (№2142/01; 23.02.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 22 მაისი.
4. სს „თელასის“ მიმართ შპს „სანუგის“ განცხადებასთან (№2545/01; 01.03.2018;) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 31 მაისი.
5. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირებს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა



კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი



კომისიის წევრი

გოჩა შონია



კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

